

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №19

12.07.2018 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

### სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), თარაშ შურღია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჯოლიანი, გიორგი დობტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი.

### სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

#### მოწვეული სტუმრები:

1. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. პაატა ტოგონიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

### სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი:

გიგა გიგაშვილი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარე სხდომაზე მოსმენილ იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 6 თვის (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის იანვარი-ივნისი) მუშაობის ანგარიში, რომლის წარსადგენად სხდომაზე მოწვეულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი პირები: სამსახურის უფროსი ბატონი გიგა გიგაშვილი და სამსახურის უფროსის მოადგილე ბატონი პაატა ტოგონიძე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის მიზნით შეკრებისთვის და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ჩამოყალიბების შემდეგ (№10-11 დადგენილება 16.01.2018წ.), პირველად უწევს სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა. შესაბამისად, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ სტრუქტურულ ცვლილებებზე, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ფუნქციისა და სტრუქტურის მატარებელი მუნიციპალური სამსახური.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილების საფუძველზე, მიმდინარე წლის 22 თებერვალს გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური და მის ბაზაზე შეიქმნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები მნიშვნელოვნად გაიზარდა, გახდა მრავალპროფილური და იგი წარმოადგენს დედაქალაქში გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად უწყებას. სამსახური აერთიანებს ოთხ განყოფილებას:

1. სატყეო პოლიტიკის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და ურბანული ხეების მდგრად მართვაზე;
2. ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ჭრის ნებართვის გაცემა და გაცემული ნებართვების მონიტორინგი;

3. გარემოსდაცვითი მართვის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალურ დონეზე ინტეგრირებული ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვაზე, გარემოს დაბინძურების შემცირებასა და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობაზე;
4. მწვანე ლანდშაფტების დაგეგმარების განყოფილება, რომლის ამოცანაა ურბანული დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის პროცესში ეკოლოგიური საჭიროებების ინტეგრირება.

სამსახურის ინიცირებით განხორციელდა რიგი სამართლებრივი ცვლილებები მოქმედ საკანონმდებლო აქტებში (მაგ., „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილება). თბილისში არსებული მწვანე სივრცეებისა და სარეკრეაციო ზონების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით დაინერგა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ახალი ინტეგრირებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაწილეობას როგორც განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისას, ისე მშენებლობის ნებართვის გაცემის ადრეულ ეტაპზე, კერძოდ, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების პროცესში.

მწვანე ნარგავების ჭრის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, სამსახური ნებართვის მაძიებელს განუსაზღვრავს კონკრეტულ პირობებს მიწის ნაკვეთზე დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს. ახალი რეგულაციების მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, განმცხადებელმა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში შესათანხმებლად უნდა წარადგინოს სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერა და ხარისხობრივი შეფასება, ასევე გამწვანების პროექტი გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) სრული დაცვით, რომელიც უნდა მოიცავდეს დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობის, ხნოვანების, სიმაღლის, სახეობების, გამწვანების პროექტის განხორციელების ვადებისა და გასაშენებელი მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის შესახებ ინფორმაციას.

ნებართვის მფლობელს ასევე დაეკისრა ვალდებულება მშენებლობის დასრულებისას გამწვანებისათვის გამოყოფილი სივრცე სრულად უზრუნველყოს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული გამწვანების პროექტით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თბილისის მწვანე საფარს.

ამასთანავე, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში დადგინდა საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20%-ის მწვანე ნარგავების გასაშენებელ სივრცედ გამოყენების ვალდებულება.

გარდა ამისა, სამსახურის მიერ დაინერგა გაცემული ჭრის ნებართვების მონიტორინგის სისტემა, რაც გულისხმობს კვარტალში ერთხელ გადარგული მწვანე

ნარგავებისა და საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ სამსახურისათვის ინფორმაციისა და შესაბამისი ფოტომასალის მიწოდებას.

საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ მომზადდა და მთავრობის მერ დამტკიცდა იმ ხე-მცენარეების სახეობების ნუსხა, რომელიც შესაბამისია ქალაქ თბილისის არქიტექტურის, ლანდშაფტისა და კლიმატისთვის. აღნიშნული ხე-მცენარეების სია დაეხმარება როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გამწვანების ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე კერძო სექტორს, რომელიც მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობების ფარგლებში, ახორციელებს გამწვანებით სამუშაოებს.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ ასევე მომზადდა მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის აგროტექნიკური ღონისძიებების გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და გახარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) ყურადღება გაამახვილა ჯანსაღი ხის შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებზე. კერძოდ, მას შემდეგ, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესში“ (№17-55 დადგენილება 12.12.2014წ.) განხორციელდა ცვლილება და ხის გადარგვას მიენიჭა უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით, მიმდინარე წელს ხის ჭრის მხოლოდ 19 შემთხვევა დაფიქსირდა.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ მიმართულებებზე:

1. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულება, რომლის ფარგლებშიც სამსახურის მიერ თემქის ხევის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის განვითარებისათვის ხორციელდება კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენს სარეკრეაციო ზონების მოწყობისათვის ვარგის ტერიტორიებზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა და ამ ტერიტორიების შემდგომი გამოყენების კონცეპტუალური გადაწყვეტების შემუშავება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება, რომელიც უნდა გაფორმდეს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თბილისის ზღვის შემოგარენის სარეკრეაციოდ განვითარებისათვის ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანს წარმოადგენს სანიტარული დაცვის ზონების დადგენა, ასევე დაცვითი ზონების მიმდებარე ტერიტორიის საზოგადოებრივი დანიშნულების, ტურისტული და სარეკრეაციო ფუნქციით განვითარებისას შესაბამისი ობიექტების წყლის აკვატორიიდან დაშორების განსაზღვრა. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან მიმდინარე წლის 25 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კვლევის ჩატარებისათვის განისაზღვრა 4 თვე.

ამასთანავე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერითა და „კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) ორგანიზებით მიმდინარეობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც დეტალურად იქნება წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის პოლიტიკა და ხედვა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული გეგმა სრულად იქნება შესაბამისობაში როგორც საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, ისე ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიათა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ნარჩენების მართვის იერარქიასა და ძირითად პრინციპებთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ წლის ბოლოს დედაქალაქს ექნება ნარჩენების მართვის გეგმა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „თბილსერვის ჯგუფის“, „კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისა“ (CENN) და საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციის მონაწილეობით დედაქალაქში სეპარაციის სისტემის ეტაპობრივი დანერგვის მიზნით, დაგეგმილია 10 ადგილას სეპარაციის სტენდების განთავსება და ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

**2. სატყეო პოლიტიკა** - აღნიშნული მიმართულებით სატყეო პოლიტიკის განყოფილების ძირითადი ფუნქციებია: ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ამ ტერიტორიების ინვენტარიზაცია და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალების მომზადება; გეოგრაფიული საინფორმაციო ბაზების შექმნა და რეგულარული განახლება; ტყით დაფარული ფართობების მდგომარეობის შესწავლა/კვლევა, მონიტორინგის წარმოება, აღდგენა-განახლების და მოვლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. გარდა აღნიშნულისა, განყოფილება ახორციელებს სხვადასხვა მეთოდურ მითითებებზე და ნორმატიულ აქტებზე მუშაობას, კერძოდ, თბილისის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატისთვის შესაბამისი ხე-მცენარეების სახეობების სიის შემუშავება და განახლება, სხვა-ფორმირების, ხე-მცენარეების დარგვისა და გადარგვის ერთიანი მეთოდიკის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა დედაქალაქის საზღვრებში და მიმდებარედ არსებულ 12 ჰექტრამდე ტყის მასივებზე, რომელთა საზღვრები არ არის დადგენილი და, ასევე, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აღარ განხორციელებულა დენდროლოგიური აღწერა (ინვენტარიზაცია). დედაქალაქის განახლებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობისას, საქალაქო სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე დოკუმენტში აისახა ტყის ზონა, რომელიც განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის შემდეგ, გავრცელდება იმ გამწვანებულ მასივებზე, რომლებიც დააკმაყოფილებენ ტყის სტატუსს. გარდა ამისა, დაგეგმილია გამწვანებული სივრცეების (ტყის მასივების) ინვენტარიზაცია, რომელიც დაიწყება 2019 წლიდან.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) ასევე ისაუბრა დედაქალაქში არსებულ ფიტოსანიტარულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ შესაბამისი ფიტოსანიტარული კვლევა ჩაუტარდა 56 000 ხე-მცენარეს, შეწამლულია 20 000-მდე მწვანე ნარგავი.

**3. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია - მიმდინარე წელს მომზადდა და გამოცხადდა შემდეგი ტენდერები:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- ქალაქ თბილისისა და მის შემოგარენის მცენარეთა ფიტოსანიტარული გამოკვლევა, მავნე ორგანიზმების შესწავლა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დაგეგმვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მცენარეების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კუს ტბის მიმდებარედ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ეთნოგრაფიული მუზეუმი) (საკადასტრო კოდი: 01.14.13.004.003) მომიჯნავედ არსებულ ფართობზე მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
- ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის ჩატარების (მწვანე ნარგავების უწყისის შედგენა, მოსაჭრელი ხეების უბნის მოსაზღვრე ტერიტორიისაგან გამიჯვნა, ხმელი და ზეხმელი ხეების ძირობრივი აღრიცხვა (სახეობის, დიამეტრის და მოცულობის), მონიშვნა და რაოდენობის განსაზღვრა) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- ს. ცინცაძის და ვ. და ა. ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე სხვა და სხვა სახეობების დეკორატიული მცენარეების მიწოდება-დარგვა და მოვლა-პატრონობა;
- მელიქიშვილის ქუჩის მწვანე ნარგავების შევსების მიზნით მარადმწვანე მუხის (ბამბუკის ფოთლიანი) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა;
- აღმაშენებლის გამზირსა და მარჯანიშვილის მოედანზე დასარგავი მინდვრის ნეკერჩხლის (*Acer campestre*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (180 ცალი ხე-მცენარე);

- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი აღმოსავლური ჭადრის (*platanus orientalis*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (400 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი იტალიური ფიჭვის (*pinus pinea*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (200 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი უნგრული ცაცხვის (*tilia tomentosa*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (200 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი მინდვრის ნეკერჩხლის (*acer campestre*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (200 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი ევროპული მუხის (*Quercus robur*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (300 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი ჩვეულებრივი იფნის (*Fraxinus excelsior*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (400 ცალი ხე-მცენარე);
- ქალაქ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიების გასამწვანებლად დასარგავი ამერიკული ნეკერჩხლის (*Acer negundo*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (300 ცალი ხე-მცენარე);
- ჰუმკინის ქუჩის მწვანე ნარგავების შევსების მიზნით ვერცხლისფერი ნაძვისა (*picea pungens hoopsii*) და უნგრული ცაცხვის (*Tilia tomentosa brabant*) (თანმდევი მომსახურებით - დარგვა, მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვა (17 ცალი ხე-მცენარე);
- ტოპო გადაღების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე გატანილი და მიწოდებული ნიადაგის რაოდენობის (მ<sup>3</sup>-ში) დადგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- გამწვანებულ ტერიტორიებზე ნიადაგის მოჭრის, საჭირო ნიშნულზე მოსწორების და ნოყიერი ნიადაგის ნაზავით (ორგანული სუბსტრატი) შევსების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა;
- მწვანე გაზონის (რულონი) (თანმდევი მომსახურებით - დაგება) სახელმწიფო შესყიდვა;
- ქ. თბილისში, ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე გაზონის მოწყობის მომსახურების შესყიდვა.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, ჰიდროთესვის მეთოდით მწვანე გაზონის მოწყობას საკმაოდ კარგი ეფექტი მოჰყვა როგორც ხარისხის, ისე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მხრივ. შესაბამისად, სამსახური გეგმავს მთლიანად ამ მეთოდზე გადასვლას.

მომხსენებელმა, ბატონმა გ. გიგაშვილმა დამატებით ისაუბრა შესყიდული ნერგების ხარისხსა და სტანდარტების თაობაზე და აღნიშნა, რომ ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებით, ახალდარგული ნერგების გახარების ხარისხი წინა წლებთან შედარებით უფრო მაღალი იქნება, რადგან, ამ ეტაპზე, შესყიდული და დარგულია სტანდარტის შესაბამისი (3.5 მ სიმაღლე, დიამეტრი - 4სმ) ნერგები.

ბატონმა გ. გიგაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ასევე მიაწოდა ინფორმაცია სამსახურის მიერ განხორციელებული შემდეგი სამუშაოების შესახებ:

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და თბილსერვის ჯგუფს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა სანიტარიული ჭრები ზეხმელი ხეების მოჭრის მიზნით. კოჯორში, ოქროყანაში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილზე და ჯიქიას სასაფლაოს მიმდებარედ მოიჭრა 9 945 ძირი ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხე.
- სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოჭრილი მერქნული რესურსი 752 კბ.მ. გადაეცათ გამგეობების შესაბამის ტერიტორიულ საუბნო ორგანიზაციებს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით.
- მუდმივად ხორციელდება 2016 წლის შემოდგომაზე დარგული ხეების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ინსპექტირება და მონიტორინგი (მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება); ყოველთვიურად ხორციელდება 13 ხელშეკრულების ფარგლებში, 170 მისამართზე დარგული 93 750 ნერგის მდგომარეობის შესწავლა.
- მცენარეთა ფიტოსანიტარული გამოკვლევების, მავნე ორგანიზმების შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ქ. თბილისის მასშტაბით 112 მისამართზე განხორციელდა 54 000-მდე ძირი ხე-მცენარის, 16300 ბუჩქისა და 300 კვ.მ. ყვავილნარის მონიტორინგი. შემუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო დასკვნები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე;
- ფიტოსანიტარიული კვლევების რეკომენდაციების შესაბამისად მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებები განხორციელდა 99.7 ჰა ფართობზე. შედეგად ორჯერ შეიწამლა 40 000 ხე-მცენარე, 2000 ბუჩქი და 300 კვ.მ. ყვავილნარი.
- სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (რომელიც არის აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მთავარი ორგანო საქართველოს მასშტაბით) თანამშრომლობით მიმდინარეობს მონიტორინგი აზიური ფაროსანის გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით. განხორციელდა თბილისში განთავსებული 323 ფერომონიანი მწერმჭერის

მონიტორინგი; აგრეთვე სურსათის ეროვნულ სააგენტოდან ცხელი ხაზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამატებით გადამოწმდა მოსახლეობიდან შემოსული 56 შეტყობინება. განხორციელებული წამლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისათვის გამოსაყენებელი პრეპარატებიც.

- განყოფილების თანამშრომლების მიერ მოხდა საგაზაფხულო და საშემოდგომო რგვებისთვის ქალაქის ყველა რაიონში ტერიტორიების შემოვლა და ნერგების დასარგევი მისამართების მოძიება. შერჩეულია დაახლოებით 5000 ნერგის დასარგავი ადგილი.
- ს. ცინცამის და ვ. და ა. ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ ფართობზე მოეწყო გამწვანებული ტერიტორია; განხორციელდა 140 ძირი ხე-მცენარის (ტირიფი, ჰიმალაის კედარი, დეკორატიული ტყემალი, რობინია) დარგვა; მოეწყო სარწყავი სისტემა.
- მელიქიშვილის ქუჩაზე, ფილარმონიის წინ არსებულ ტერიტორიასა და ვერის პარკის მიმდებარედ განხორციელდა არსებული ბამბუკისფოთლიანი მუხის ნერგების შეესება; დაირგო 35 ძირი ნერგი;
- მიმდინარე წლის გაზაფხულზე ვაკის პარკის, ვერის პარკის, 9 აპრილის პარკის და კიკვიძის პარკის ტერიტორიაზე განხორციელდა 28 000 კვ.მ. ტერიტორიაზე ჰიდროთესვის მეთოდით ბალახის თესვა.
- თბილისის მასშტაბით ცხრა მისამართზე (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ვაკის პარკი, ვერის ბაღი, 9 აპრილის პარკი და სხვა) შეტანილ იქნა 2946 კვ. მიწის ნოყიერი ნაზავი (ორგანული სუბსტრატი); სხვადასხვა ობიექტებზე მოიჭრა და გატანილ იქნა 96 კვმ. სტრუქტურადარღვეული ნიადაგი;
- საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში განახლდა რუსთაველის გამზირის ბალახის საფარი - დაიგო 5037 კვ.მ. რულონური გაზონი; სულ მიმდინარე წლის გაზაფხულზე თბილისის გამწვანებულ ტერიტორიებზე დაიგო 11 765 რულონური გაზონი.
- ტოპო გადაღების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე გატანილი და მიწოდებული ნიადაგის რაოდენობის (მ3-ში) დადგენის მომსახურების ფარგლებში 4 ობიექტზე აზომილ იქნა 19316 კვმ. ფართობი.

ბატონმა გ. გიგაშვილმა დამატებით ისაუბრა 2018 წელს მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებაც. მათ შორის, აღნიშნა, რომ:

- დაახლოებით 2 ჰა-მდე დენდროლოგიური პარკის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება გლდანში, რომლის სავარაუდო ღირებულებაცაა: 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

- დედაქალაქის სხვადასხვა უბანში გამხმარი ფიჭვების ჩანაცვლება და ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე, განხორციელდება 800 ერთეული ხის შესყიდვა, რომლის სავარაუდო ღირებულებაც: 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.
- მიმდინარე წლის 22 ივნისის გაფორმდა ხელშეკრულება (N03.01/30/313) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედგენის სამუშაოების განხორციელების მიზნით; პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს თბილისის მწვანე ნარგავების ტყეების ფართობების იდენტიფიცირება, მათ შორის დაურეგისტრირებელი ფართობების აღრიცხვა მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით. სავარაუდო საპროექტო ფართობი შეადგენს 12000 ჰას. განხორციელდა ორთო ფოტო გეგმების დეშიფრირება, სატყეო უბნებად დაყოფის სამუშაოები, მომზადდა საკვარტალე ქსელის პროექტი;
- მიმდინარე წლის 22 ივნისის N03.01/30/315 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს მწვანე ნარგავების გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის ჩატარების სამუშაოები. ამ ეტაპზე აღრიცხულია და შემდგომი მოჭრის მიზნით მონიშნულია 9000 ხმელი და ზეხმელი ხე; ხელშეკრულების ფარგლებში სულ მონიშნება 20 000 ხმელი და ზეხმელი ხე, დადგინდება მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოხსენებელმა (გ. გიგაშვილი) ყურადღება გაამახვილა მწვანე ლანდშაფტის დაგეგმვა-განვითარებაზეც და აღნიშნა, რომ მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება 2018 წლის პირველ კვარტალში, დებულების შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვებისა და შენიშვნების მომზადების პროცესში.

ასევე, განყოფილება, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო სამართლებრივი ცვლილებების შემუშავების პროცესში.

წლის პირველი კვარტალი ძირითადად დაეთმო დაგეგმილი გამწვანების ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას, კერძოდ, განყოფილების მიერ მომზადდა ტექნიკური დავალებები და გამოცხადდა ტენდერი სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

ორი კვარტალის განმავლობაში მომზადდა საპროექტო სამუშაოების ტექნიკური დავალება (ჩატარდა ბაზრის კვლევა) 7 ობიექტისთვის. ხოლო მომავალი, 2019 წლიდან დაიწყება სამი დიდი პარკის (ვერის ბაღის, ვაკის პარკისა და ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკის (ე.წ. კიკვიძის პარკის)) რეაბილიტაციის პროექტები.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ სამსახურს სურდა ტენდერის მეშვეობით გამოევლინა ის გამარჯვებული კომპანია, რომელიც განახორციელებდა შესაბამის სამუშაოებს. საბოლოოდ, უცხოელი პარტნიორების დახმარებით განხორციელდება ვერის ბაღისა და ვაკის პარკის

სარეაბილიტაციო პროექტები. შესაბამისი სამუშაოები დაფინანსდება 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვა ბ-ნმა გ. დობტურიშვილმა:

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პარკებისა და სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე გამოცხადებული ტენდერების შესახებ.

ბ-ნი გ. დობტურიშვილის განმარტებით, მწვანე ნარგავების შესყიდვის, ასევე, სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია-მოწყობის შესახებ ტენდერს, გარდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა, აცხადებენ თბილისის რაიონული გამგეობებიც. თუმცა გამგეობების მიერ სატენდერო დავალების შემუშავებისას, ნაკლები ყურადღება ეთმობა დენდროლოგიურ პროექტებს (ხე-მცენარეების როდენობა, ხარისხი, დარგვა) და ძირითადად, პრიორიტეტი ენიჭება საპარკე ფურნიტურითა თუ სათამაშო ატრაქციონებით მოწყობას. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც, ყველა რაიონული გამგეობა სატენდერო დავალებაში გაწერს იმ დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობასა და ხარისხს, რაც კონკრეტული სკვერისა თუ ბაღის მოწყობისათვის იქნება აუცილებელი.

- სამგორის რაიონის მესამე მასივის სამაჟორიტარო უბანში წიწვოვანი ხე-მცენარეების ხმობის შესაჩერებლად შესაბამისი შეწავლითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა აღნიშნა, რომ მის სამაჟორიტარო უბანში, განსაკუთრებით, ვარკეთილის დასახლებაში მიმდინარეობს ხეების ხმობა და მოსახლეობა ითხოვს მათ შეწყვეტას.

- სამგორის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ პარკებსა და სკვერებში ხე-მცენარეების მორწყვის პრობლემის თაობაზე.

ბ-ნმა გ. დობტურიშვილმა აღნიშნა, რომ პარკებსა და სკვერებში სარწყავი სისტემის გაუმართაობის ან არარასეობის გამო არ ხდება ხე-მცენარეების მორწყვა.

- ბატონი კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირების თანახმად, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, მე-10 კვარტალში არსებული სკვერის მოწყობის თაობაზე.

ბ-ნმა გ. დობტურიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნი კახა კალაძის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო დაპირებით უნდა განხორციელებულიყო კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, მე-10 კვარტალში არსებული სკვერის მოწყობის პროექტი და მოსახლეობას აინტერესებს,

რომელი მუნიციპალური სამსახურის მიერ და როდის მოხდება აღნიშნული სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია.

- სეზონური (ზაფხულისა და ზამთრის) ყვავილების, მრავალწლოვანი მცენარეებით ჩანაცვლების თაობაზე.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილის აზრით, სეზონური ყვავილების მრავალწლოვანი ყვავილოვანი ბუჩქებით ჩანაცვლების გზით, ერთი მხრივ, შენარჩუნდება ქალაქის ესთეტიკური იერსახე და მეორე მხრივ, დაიზოგება საბიუჯეტო ასიგნებები. გარდა ამისა, მისი განმარტებით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ჩანაცვლება. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს დედაქალაქისთვის ტურისტული მნიშვნელობის არეალების სეზონური ყვავილებით გამწვანებას.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა, ბატონმა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით:

- რაიონულ გამგეობებთან საქალაქო სამსახურს აქტიური კომუნიკაცია აქვს და ბაღ-სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით უკვე მიეცათ რეკომენდაციები დენდროლოგიური პროექტების თაობაზე.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, ამ მიმართულებით პრობლემები ნამდვილად არის, მაგრამ საკითხი მარტივად მოსაგვარებელი არაა, რადგან დენდროლოგიური პროექტების განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მომავალი წლიდან იგეგმება არსებული პრაქტიკის შეცვლა, კერძოდ, ტენდერის გამოცხადებამდე ჯერ მოხდება ტერიტორიების შესწავლა, შემდეგ უკვე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება დენდროლოგიური პროექტებიც და მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი.

- თბილისის მასშტაბით ხე-მცენარეების ხმობის შესაჩერებლად საკმაოდ მოცულობითი სამუშაოებია ჩასატარებელი და სამსახური მაქსიმალურად ცდილობს პრობლემის მოგვარებას. ამ ეტაპზე, გამოცხადებული ტენდერებიდან ეკონომიის გზით მიღებული თანხის მობილიზებით, უხლოეს პერიოდში იგეგმება აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (ტენდერი).

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ბატონ გიორგი დოხტურიშვილს სთხოვა მიეწოდებინა იმ ტერიტორიის ზუსტი მისამართი, სადაც საჭიროა წიწვოვანი ხე-მცენარეების შეწამვლა.

- პარკებსა და სკვერებში მწვანე ნარგავების დარგვის თანმდევი მოვლა-პატრონობის, მათ შორის მორწყვის ვალდებულება ეკისრებათ კონტრაქტორ კომპანიებს. დედაქალაქის მასშტაბით 92 000 ხე-მცენარეა და აქედან მხოლოდ 30%-ს ესაჭიროება ხელოვნურად მორწყვა. გარდა ამისა, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, საქალაქო

სამსახური ყოველკვირეულად ახორციელებს მოვლა-პატრონობის სამუშაოების მონიტორინგს.

- კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, მე-10 კვარტალში არსებული სკვერის მოწყობის პროექტი, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, თანამდებობაზე დანიშნისას არ გადაუბარებია და მისთვის უცნობია სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის დეტალები.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ბატონ გიორგი დობტურიშვილს სთხოვა მიეწოდებინა სრული ინფორმაცია კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, მე-10 კვარტალში არსებული სკვერის მოწყობის პროექტის დაწყება-განხორციელების საკითხის გარკვევის მიზნით.

პარკებისა და სკვრების აღდგენა-რეაბილიტაციის თემასთან დაკავშირებით, ბატონმა გ. გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ საზოგადოების მხრიდან დიდი მოთხოვნაა სარეკრეაციო ზონების მოწყობის მიმართულებით და საქალაქო სამსახურისთვის პრიორიტეტულია სკვრების სრული რეაბილიტაცია, რაც მოიცავს დენდროლოგიურ პროექტებსაც. სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტი 23 000 000 (ოცდასამი მილიონი) ლარით განისაზღვრა, მაგრამ იმდენად მოცულობითი და ძვირადღირებული სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ ყველა პროექტის ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელება ძალიან რთულია.

- სეზონური (ზაფხულისა და ზამთრის) ყვავილების მრავალწლოვანი ბუჩქოვანი მცენარეებით ჩანაცვლება ნამდვილად მიზანშეწონილია და აღნიშნული პროექტის განხორციელების შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკებები. თუმცა, ყველა ლოკაციაზე სეზონური ყვავილების ჩანაცვლება მაინც ვერ განხორციელდება, რადგან ესტეტიკური თვალსაზრისით, რეკომენდებულია, დედაქალაქის ცენტრალური და ტურისტული უბნების სეზონური ყვავილებით გაფორმება.

**შეკითხვები დასვა ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ:**

- თბილისის ზღვის მიმდებარედ, დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების ხმობის შესახებ.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ახალდარგული ნარგავების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების არაჯეროვნად შესრულების გამო ხმება მცენარეები, რაც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას, თუნდაც, გამხმარი ხეების ახალი ნერგებით ჩანაცვლების გზით.

- ხე-მცენარეების შეწამვლითი ღონისძიებების თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ იმ ადგილებში, სადაც ვერ ხერხდება შესაბამისი სპეციალური მანქანებით მცენარეების შეწამვლა, საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების (მაგ., შესაწამლი აპარატების გამოყენებით) განხორციელება.

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირების თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირება ძალიან კარგია, მაგრამ როგორ მოხდება სეპარირებული ნარჩენის საბოლოო პუნქტამდე მიტანა ეს არის მთავარი, რადგან თუ მოსახლეობა მოახდენს ნარჩენის სეპარირებას (დახარისხებას-დაცალკევებას), მაგრამ გადამამუშავებელ პუნქტამდე მისი ასეთივე სახით მიტანა არ მოხდა, შედეგი მიღწეული არ იქნება.

ბატონმა ლევან ჯაფარიძემ, ასევე ისაუბრა საქალაქო სამსახურის საქმიანობის თაობაზე, რომელსაც დადებითად აფასებს, რადგან, არამარტო წარმოდგენილი ინფორმაციის, არამედ რეალურად გაწეული საქმიანობის ეფექტიანობის საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოებია გატარებული.

ბ-ნი ლ. ჯაფარიძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით:

- გამწვანებულ ტერიტორიებზე გამხმარი ნერგების ჩანაცვლება უნდა განახორციელოს იმ კონტრაქტორმა კომპანიამ, რომელსაც ევალება კონრეტულ ტერიტორიაზე ნერგების დარგვა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელება მოვლა-პატრონობის სახით, რომელშიც ასევე მოიაზრება ახალდარგული ნერგების მორწყვაც. ამ მიმართულებით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მუშაობს და ადგილზე შემოწმების შემდეგ, კონტრაქტორ კომპანიას დაევალება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და გამხმარი ხე-მცენარეების ჩანაცვლება ახალი ნერგებით.
- იმ ადგილებში, სადაც სპეციალური მანქანებით ვერ ხერხდება ხე-მცენარეების შეწამვლა, საქალაქო სამსახურისა და შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომლები ახორციელებენ შესაბამის სამუშაოებს და ხელით მართვის მექანიკური აპარატით იწამლება ძნელად მისადგომი დასამუშავებელი ტერიტორიები.
- დედაქალაქის მასშტაბით, საპილოტე პროექტის ფარგლებში, 10 წერტილში დაიდგმება საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ურნები. ნარჩენების გადამამუშავებელ შესაბამის კომპანიებთან სეპარირებული ნარჩენების გადატანის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიები თავად უზრუნველყოფენ სეპარირებული ნარჩენის გადატანას.

შეკითხვა დასვამ ბატონმა ლ. ჟორჟოლიანმა:

- საანგარიშო პერიოდში, „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელებული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვებისა (ერთ პირთან დადებული ხელშეკრულებით) და ელექტრონული ტენდერით განხორციელებული შესყიდვების თაობაზე;

- კორპორაციული პასუხისმგებლობის თაობაზე, კერძოდ, მუნიციპალური ქონების უფლებრივად დატვირთვის ან/და გასხვისების შემთხვევაში, შესაბამისი სუბიექტებისთვის საინვესტიციო ვალდებულების და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, განსაკუთრებით, გამწვანების ღონისძიებების გაწერისას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაწილეობისა და როლის თაობაზე.

ბატონი ლ. ჟორჯოლიანის შეკითხვებს უპასუხა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით:

- საანგარიშო პერიოდში გამარტივებული შესყიდვები არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილე სუბიექტების მხრიდან გარკვეული პრობლემები შეიქმნა, რადგან მზად არ აღმოჩნდნენ, სამსახურის მიერ ხარისხზე ორიენტირებული დაკვეთების შესრულებისთვის, რის გამოც 4 ტენდერი ჩაიშალა, საბოლოოდ, ყველაფერი მოწესრიგდა და საბოლოო ჯამში, ყველა შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.
- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან კორპორატიული პასუხისმგებლობის მიმართულებით. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი და მზაობა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო შესაბამისი დენდროლოგიური პროექტების განხორციელება. ამ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში „ქართუ ჯგუფის“ მიერ განხორციელდა რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია; ასევე, კერძო კომპანიების თანამონაწილეობით გატარდა გამწვანების ღონისძიებები, მათ შორის, დიდმის ტყე-პარკში. ამ მიმართულებით, სამომავლოდაც გაგრძელდება მუშაობა.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა:

- დაბა წყნეთის გზის მიმდებარედ, „კაკლების უბანში“ არალეგალური ნაგავსაყრელის შესახებ.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ე.წ. „კაკლების უბანთან“ არსებულ ხევში, სამშენებლო კომპანიები სამშენებლო ნარჩენებს თვითნებურად ყრიან და ამით გარემოს აყენებენ ზიანს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტების თაობაზე განცხადება არაერთხელ გააკეთა, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

- მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმართაობაზე და დაინტერესდა პრობლემის მოგვარების გზებითა და ვადებით.

- ქალაქ თბილისში, დიდმის მასივში, IV კვარტალში, მე-2 კორპუსთან არსებული „იფქლის“ (პურის) ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების შესახებ.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ პურის ქარხანა ფუნქციონირებს შეუსაბამო ფუნქციურ - საცხოვრებელ ზონაში (სზნ), თავისი საქმიანობით აბინძურებს გარემოს და ზიანს აყენებს ქარხნის მიმდებარე კორპუსების მაცხოვრებლებს არამარტო ჰაერში გაფრქვეული გამონაბოლქვით, არამედ ხმაურითაც.

- ჯავახეთის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის გამო მწვანე საფარისა და ნარგავების დაზიანების შესახებ.
- ახალდარგული ნერგების ხმობის თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ახალდარგული ნერგების მოვლა-პატრონობის სამუშაოები მკაცრად გასაკონტროლებელია, რადგან ერთია ნერგის დარგვა და მეორე მისი მოვლა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნერგების გახმობა.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის შეკითხვებთან დაკავშირებით, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კომისიის წევრებმა სხდომის განმავლობაში დასვეს შეკითხვები ახალდარგული ნერგების მოვლა-პატრონობისა და ხმობის თაობაზე, რაზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს საქალაქო სამსახურის უფროსისგან (გ. გიგაშვილი), მაგრამ, იმის გამო, რომ ბ-ნი ლ. ხაბეიშვილი სხდომას დაგვიანებით შეუერთდა, სამწუხაროდ, მისთვის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საქალაქო სამსახურის პოზიცია უცნობია.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით:

- დაბა წყნეთის გზის მიმდებარედ ე.წ. „კაკლების უბანთან“ არსებულ ხევში, სამშენებლო ნარჩენების არალეგალური პოლიგონის შესახებ სამსახურისთვის ცნობილია და მათი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი რეაგირება განხორციელდა. თუმცა, უშუალოდ სამშენებლო ნარჩენების მართვა განეკუთვნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციას.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილმა) დამატებით აღნიშნა, რომ მშენებლობის პროექტის შეთანხმებისას სამშენებლო კომპანიებსა და კერძო პირებს განემარტებათ „ნარჩენების კოდექსის“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და სამშენებლო და სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისთვის გათვალისწინებული საჯარიმო სახდელები.

- მუნიციპალური ტრანსპორტის, განსაკუთრებით, ე.წ. ყვითელი ავტობუსებისა და „მარშუტკების“, როგორც გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყაროს, ჩანაცვლება მოხდება ეტაპობრივად.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუნიციპალური ავტოპარკის (ავტობუსების) განახლება. გასულ წლებში შემოყვანილ იქნა ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსები და მიმდინარე წელსაც გამოცხადებულია ტენდერი ავტობუსების შესყიდვის თაობაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე“), მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა მუნიციპალური ტრანსპორტი, ხოლო 2019 წლიდან ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოწმდება ტექნიკურად.

ასევე, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა საწვავის ხარისხზე და აღნიშნა, რომ ბენზინის ხარისხზე უკვე არსებობს რეგულაციები და საქართველოში ევროსტანდარტის, ტყვიის შემცველობისგან თავისუფალი ბენზინი შემოდის. ხოლო დიზელის საწვავის ხარისხის თაობაზე შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების თანახმად, 2019 წლიდან შეიზღუდება დაბალი ხარისხის დიზელის საწვავის იმპორტირება.

საწვავის ხარისხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ და აღნიშნა, რომ დაბალი ხარისხის დიზელის საწვავის გამოყენება ზიანს აყენებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია.

გარდა ამისა, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსების („მარშუტკების“) მიერ გამოყენებული დიზელის საწვავის ხარისხზე და აღნიშნა, „მარშუტკის“ მძღოლთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლს ურჩევნია დაბალი ფასისა და ხარისხის დიზელის შესყიდვა, თანხის დაზოგვის მიზნით.

ბატონი ლ. ხაბეიშვილის მიერ „იფქლის“ ქარხნის ფუნქციონირების შედეგად გარემოს დაბინძურების ფაქტის თაობაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, პურის ქარხანა აღნიშნულ მისამართზე (საცხოვრებელ ზონაში) დიდი ხანია ფუნქციონირებს და მის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, საჭიროა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მიმართვა, რადგან უშუალოდ სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების (ჰაერი) ობიექტების რეგისტრაცია, მათი მონიტორინგი და საქართველოს კანონმდებლობით დადგნილი ნორმების გადამეტებისას შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

გარდა ამისა, სამინისტროს აქვს ელექტრონული სერვისი, სადაც განთავსებულია ყველა ასეთი ობიექტის მონაცემები და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს საჭირო ინფორმაცია.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ბ-ნი ლ. ხაბეიშვილს შესთავაზა, რომ მოსახლეობამ და/ან ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, მსგავსი დარღვევების დაფიქსირებისას, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს,

რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას მიაწოდებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის.

ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, IV კვარტალში, მე-2 კორპუსთან არსებული „იფქლის“ (პურის) ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურების ფაქტთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა გ. დობტურიშვილმა და ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, რომელთა განმარტებით, საწარმო უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი ჰაერის გამწმენდი ფილტრებითა და ხმის დამხშობი მოწყობილობებით, რათა ერთი მხრივ, შემცირდეს გარემოზე მავნე ზემოქმედება და, მეორე მხრივ, დაცულ იქნას ადამიანების, ამ შემთხვევაში, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა ინტერესები და ჯანმრთელობა.

ბ-ნი გ. დობტურიშვილის მიერ დამსწრე საზოგადოებისთვის მიწოდებული დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება ხმაურის ზღვრულად დასაშვები ნორმის დადგენა და გადამეტების შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მართალია, პურის ქარხანა მრავალი წელია ფუნქციონირებს ზემომითითებულ ტერიტორიაზე, მაგრამ მისი ინფრასრუქტურა ძველ ქარხანასთან შედარებით გაზრდილია.

სხდომის დასასრულს, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ მადლობა გადაუხადა საქალაქო სამსახურს გაწეული საქმიანობისთვის. მან ასევე, ისაუბრა საზოგადოების მოლოდინის თაობაზე და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესია დედაქალაქში იყოს ჰაერის, წყლის და ნიადაგის მაღალი ხარისხი, რაც აუცილებლად უნდა იქნას მიღწეული მუნიციპალიტეტის შესაბამისი უწყებების მიერ სათანადო ღონისძიებების განხორციელებით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიში.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

### გადაწყვეტეს:

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით (6 თვის) გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ზ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე